№ 23 (1225) თბილისი დეკემბერი 1965

# ნიანგი

გამოდის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენს კოლმეურნეობებს ზამთარში დაუბინავებელი რჩებათ მოსავალი, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ხანგრძლივი წლების დაუღალავი შრომის შედეგად, ნიანგის საკონსტრუქტორო ბიუროსა და სამეცნიერო-საკვლევ სადგურებში შექმნილი და გამოყვანილია ტექნიკის, პირუტყვისა და ფრინველის ახალი სახეობები და ჯიშები. აი, ისინიც:



1. მინდორში უპატრონოდ დაყრილი ხორბლის ალებაში გაწვრთნილი დამხმარე მუშახელი — ყვავი.



ყინვაგამძლე ძროხა.



3. უჟანგავი ტრაქტორი.

ნახ. ნ. მალაზონიასი




ქართველმა ერმა სახალხო ზეიმით აღნიშნა უკვდავი მგოსნის — **აკაკი წერეთლის** დაბადების ას ოცდახუთი წლისთავი.
აკაკის დიდი ჰუმორითა და უმძაფრესი სატირული სულით აღსავსე ნაწარმოებები მთელი ძალით ეხმაურება ჩვენს ეპოქას.
ნიანგი შეეცადა თანამედროვე ყოფის ნაკლოვანი მხარეების გასაკილად გამოეყენებინა დიდი პოეტის ზოგიერთი ლექსის სტრიქონები.

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..



უკვდავების წმინდა წყარო,
სად ხარ, ჩემთვის დაკარგულო?



შენ, ჩემო ძროხავ შვინდაო,
საკვები აღარ გინდაო!



არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..

აკაკი წერეთელი

# პატრიოტი

ჩემისთანა პატრიოტი
განა არის სადმე კიდე?
გარწმუნებთ, რომ ვერ შეხვდებით,
გინდ მოლახოთ კიდით-კიდე...

ღვინოს ბევრს ვსვამ, მიყვარს ქეიფი,
არტალა და ჩახოხბილი...
ფლავსაც ხომ სულ ხელითა ვჭამ,
რომ არ მოხვდეს ჩანგალს კბილი!

რაც შეშფერის მამულიშვილს,
ვასრულებ მეც ყველაფერსა,
უკუღმართის ხმით ვიმღერი
ქართულ „მრავალჟამიერსა".

მე არაფერს არ ვმუშაობ,
მაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ...
რაც რომ მერგო მამა-პაპის,
ნელა-ნელა „ვაპრადალებ";

და ფულს ვხარჯავ კნიაზურად,
ისე, როგორც ჩალა-ბზესა!..
მამის სული გამიშვია,
ვფიცავ მამინაცვლის მზესა...

ერთი სიტყვით, ქართველობა
გამჯდარი მაქვს სრულად ტანში!..
რომ მოგწონვართ, თქვენც კი გატყობთ,
აბა, დამიკარით ტაში!..

1903 წელი, 22 იანვარი.

# ბილწ არიან გზანი მათნი ყოველსავე ჟამსა...

(ორმოცდაათიანელთა რელიგიური სექტა)

...უწმიდური წარსული აქვს თბილისში არსებული ორმოცდაათიანელთა ერთ-ერთი რელიგიური სექტის ხელმძღვანელს — „წმიდან" ბორის მიხეილის ძე კოჩეგორიოვს. გარყვნილობისა და ზნედაცემულობისთვის „მამა ბორისი" თავის დროზე გარიცხეს ბაპტისტთა რელიგიური სექტიდან. ბინძური ხერხებით ნაშოვნი ფულით მან 1957 წელს კონსტიტუციის ქუჩა № 58-ში იყიდა სახლი, რომელიც მის მიერ შეკოწიწებული სექტის წევრთა ბუდედ იქცა.

აქ უქადაგებდა „წმიდანი" „ჭეშმარიტ ზნეობას" რელიგიით დაბრმავებულ ადამიანებს. ბორისმა „ღვთის ბრძანებით" ქუჩაში გამოყარა პირველი ცოლი და ორი შვილი და მეორე ცოლად შეირთო აქტიური სექტანტი. ცოლ-ქმარი მოსვენებას არ აძლევდა მეზობლებს, ავიწროებდა მათ. ერთხელ, ეზოში ატეხილი ჩხუბის დროს, ბორისის მეუღლემ მილიციელს აგური ჩაარტყა თავში „ქრისტეს ნებართვით".

ქ. ტყვარჩელში მოქმედი ორმოცდაათიანელთა სექტის ხელმძღვანელმა, შავბნელმა პიროვნებამ — ტარას თომას ძე ჩერნოვმა ფანატიკოს სექტანტ შევიაკოვს ბინა წაართვა. აი, როგორ მოახერხა მან ეს: სექტანტთა ერთ-ერთი შეკრების დროს ჩერნოვმა იწყო მანჭვა-გრეხა და „უცხო ენაზე" ბოდვა. უცებ, მან გასაგებ ენაზე წამოიყვირა: „შვილნო ჩემნო! წმიდა სულმა, სწორედ ამ წუთში, ღვთის ნება გამანდო — მამა-ღმერთი ბრძანებს, მისი ცოდვილი ძე, შევიაკოვი, გადასახლდეს ტყვარჩელიდან და თავისი ბინა სექტას დაუტოვოს, ამით იგი იმქვეყნიურ ბედნიერებას მოიპოვებს!" ღმერთის ბრძანება უბრალო მომაკვდავის ბრძანება ხომ არაა, და ბეცი შევიაკოვიც უსიტყვოდ დაემორჩილა მას, ბინა ჩერნოვს ჩააბარა და, თვითონ სა-



მოთხევგანაღდებულმა მოჰკურცხლა ტყვარჩელიდან. ცოტა ხნის შემდეგ „წმიდანმა"-აფერისტმა ჩერნოვმა შევიაკოვის კარმიდამო გაჰყიდა და აღებული ფული ღმერთს „გადაურიცხა" მეშვიდე შემნახველ ზეცაში.

დიდხანს ახეტიალა ორმოცდაათიანელთა სექტის ხელმძღვანელმა, „წინასწარმეტყველმა" მარიამ ონიპკომ თავისი „ცოდვილი შვილები" ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში. ბოლოს, „სულმა წმიდამ" ონიპკოს ღმერთის პირადი წერილი მიართვა: „ჩემო შვილო, წმიდაო მარიამ! — წერდა „უცხო ენაზე" მამაზეციერი, — ხომ ხედავ, ამდენ ხეტიალში ღვთიურ გეგმებს ვერ ასრულებ, ჯანმრთელობაც არ გიწყობს მაინცა და მაინც ხელს, ჩადი ბათუმში, მშვენიერი ქალაქია, შენთვის ჩამიბარებია, შენც იხეირე და მეც მახეირე. შენი იესო!"

წაიკითხა მარიამმა ღმერთის წერილი სექტანტთა კრებაზე. ყველამ მოიწონა ღვთის გადაწყვეტილება და გაუდგნენ ბათუმის გზას...

ბათუმში მარიამს ეცოტავა სექტის წევრები, ამიტომ. „სექტის გამრავლების მიზნით", დაავალა ახალგაზრდა სექტანტებს ცოლ-ქმრული ურთიერთობა დაემყარებინათ ერთმანეთთან. მარიამმა და ი. კოზუბმა სექტანტ ანატოლკომს ძალით შეართვევინეს მისი „სულიერი და" გალინა, რომელსაც ანატოლი ადრე არც იცნობდა. ამაზე ცოტა კი გაბრაზდა ღმერთი, მაგრამ მარიამის ხათრით ხმა არ ამოუღია.

თბილისელმა ორმოცდაათიანელმა არაქელ ხემჩიანმა სამშობლოს უღალატა — დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჰიტლერელთა მხარეზე გადავიდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა და პოლონელ პარტიზანთა წინააღმდეგ მიმართულ დამსჯელ ღონისძიებებში. არაქელს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. სასჯელი რომ მოიხადა, თბილისში დაბრუნდა, მტკვრის წყალში წელამდე ჩადგა, ძმათა სისხლით გასვრილი ხელები გადაიბანა. „ცოდვებისგან განიწმინდა" და სექტანტად მოინათლა. „სამშობლოს კი ვუღალატე, მაგრამ ღმერთს აღარ ვუღალატებო", — თქვა და ორმოცდაათიანელთა სექტა ჩამოაყალიბა, მაგრამ ღმერთს ეჭვი შეეპარა მის ერთგულებაში და დააბეზღა მილიციაში: „მაგი არ ჩანს კაი კაცი, დროზე დაიჭირეთ, თუ არა, მეც მიღალატებსო". დაიჭირეს არაქელი და 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოში გაასამართლეს...

ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი საქმიანობისთვის რამდენჯერმე იყვნენ დაპატიმრებულები თბილისელი სექტანტები ვ. ქელტკოვი და ტ. ბიზიაევი. სწორედ მათი „დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობისა" და „ფართო აგიტაციის" საშუალებით გავრცელდა ორმოცდაათიანელთა სექტის ბაცილები ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში. ორმოცდაათიანელთა ამ „იდეოლოგებმა" ბევრი გულუბრყვილო ადამიანი გააუბედურეს, ბევრი ოჯახი დაანგრიეს, მაგრამ არც მათ დაადგათ კარგი დღე: ისინი გაასამართლეს და ღირსეული სასჯელი მიუზღვეს...

ქრისტე-ღმერთს რომ კაცი არ დაუჯერებს, იმისი რა უნდა გწამდეს! მერე და რამდენჯერ უმეორებდა ქრისტე ქ. გორში მოქმედ ორმოცდაათიანელთა სექტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს — გ. ყაჩლავაშვილს: არ იქურდო, დაგიჭერენო!

— შენ ხომ არაფერს გპარავ, თავი დამანებეო, — გაუბრაზდა ყაჩლავაშვილი მამა იესოს და მაინც იქურდა. მერე კი იძახდა: ღმერთო, მიშველე, ციხეს გადამარჩინეო, მაგრამ ღმერთი ნაწყენი იყო ყაჩლავაშვილზე და სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა...

ქურდობისთვის ციხეში იჯდა მეორე გორელი სექტანტი ბ. კუმრაევი...

ქრისტეს ათი მცნების დიამეტრალურად საწინააღმდეგო საქმეებს აკეთებდნენ ჭიათურელი პრესვიტერები — ე. სოლოინი და ბოგატირი. ისინი საჯაროდ გაკიცხეს და შეარცხვინეს ამხანაგურ სასამართლოზე, მაგრამ შერცხვებათ კი?



ორმოცდაათიანელები კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან ექიმებისა და წამლებისა, უარს ამბობენ სამედიცინო დახმარებაზე. „ქრისტეზე უკეთესი ექიმი და „ბიბლიაზე" კარგი რეცეპტი სად იქნებაო", — ამტკიცებენ ისინი და ავადმყოფებს „ბიბლიით" „კურნავენ".

სექტანტების შთაგონებით თბილისში მცხოვრებმა მელიხოვების ოჯახმა უარი თქვა ფილტვების ანთებით დაავადებული ვ. მელიხოვი საავადმყოფოში დაეწვინათ. „ბიბლიამ" საქმეს ვერ უშველა და ვ. მელიხოვის „სული წმიდა" „განსახლდა" მისი სხეულიდან.

სწორედ ასევე მოუკლეს ერთი წლის ბავშვი ორმოცდაათიანელებმა თბილისელ ნ. ნიკიტინს.

ორმოცდაათიანელები შვილებს თავიდანვე სექტანტებად ზრდიან. სექტანტთა ბავშვებს „ღმერთი უკრძალავს" კინოთეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში სიარულს, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების წევრებად გახდომას.

სექტანტი ბავშვი გ. ორჟეხოვსკი რამდენიმე საათის განმავლობაში დაჩოქილი ევედრებოდა მამაზეციერს მშობლების ჯანმრთელობას...

ოთხ ბავშვსა და მეუღლეს სექტაში სიარული ამჯობინა ჭიათურელმა ვალენტინა პრიმანჩენკომ. დედა შვილებს ოთახში ჰკეტავდა და აიძულებდა „დედაენის" ნაცვლად, „ბიბლია" ეკითხათ...



სექტანტმა მშობლებმა აუკრძალეს ვალოდია და არკადი ხემჩიანებს პიონერებად გახდომა...

— „ბიბლია" ჩვენი არსებობის ერთადერთი წყაროა! — განაცხადეს თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-15 საშუალო სკოლის ყოფილმა მოსწავლეებმა — ვ. ბიკოვმა და ვ. მარტინენკომ. ისინი დღესაც ფანატიკური მორწმუნენი არიან...

ორმოცდაათიანელთა სექტამ ოჯახი დაუნგრია თბილისელ გ. ელბაქიძეს. მის მეუღლეს — ვერას ოჯახისთვის არ ეცალა, იგი თავისი პატარა შვილით სექტის შეკრებებზე დადიოდა. ასევე დაინგრა თბილისელების — ვ. ბიკოვისა და ა. მარტიროსიანის, გაგრელი ნ. ზაკომორკინას, გუდაუთელი ე. სტეფანკოვას ოჯახები...

საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებამ ვერ უშველა გამოუსწორებელ სექტანტებს, ორმოცდაათიანელთა ორგანიზაციის აქტიურ წევრებს — კ. ალექსაშინს, შ. ილურიძეს, ნ. სოსინს. ისინი დღესაც განაგრძობენ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას.

ორმოცდაათიანელთა რელიგიური სექტა აკრძალულია საბჭოთა კანონმდებლობის მიერ, ამიტომ მისი წევრები იკრიბებიან ფარულად, პატარ-პატარა ჯგუფებად. თუკი რომელიმე წევრი გათქვამს შეკრების ადგილს, იგი ირიცხება სექტიდან.

ბევრმა სექტანტმა შეიგნო თავისი სიბეცე და დაჰგმო ორმოცდაათიანელები, სამუდამოდ მიატოვა სექტა. დავასახელებთ რამდენიმეს: თბილისელები — ი. გამყრელიძე და ტ. ბელაშოვა, რუსთაველი ი. გამრეკელი, სოხუმელი მ. სტეპანოვა, ტყვარჩელელი ა. ხარკოვსკი, ბათუმელი ა. კომი, გაგრელი ნ. ზაკომორკინა...

ყოფილი სექტანტები მოუწოდებენ ორმოცდაათიანელთა შავბნელ საქმეებში ჩათრეულ ადამიანებს, დროზე მოეგონ გონს. ისინი საქვეყნოდ ღაღადებენ ყველა სექტანტის გასაგონად:

„განვხეთქნეთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩუენგან უღელი მათი!"

ამინ!

დ. ბებეშიძე
გ. მელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი



— თუ ძმა ხარ, მომაწევიე ერთი შენი პაპიროსი. მომკლა ამ სხვისი პაპიროსის წევამ!

## [illegible]

— თქვენი მთავარი შეცდომა, — უთხრა რედაქტორმა ყმაწვილ კაცს, რომელიც ძალებს მწერლობაში ცდიდა, — აშკარა ქურდობა გახლავთ.

— აბა, რას ამბობთ! — წამოიძახა გულწრფელი აღშფოთებით ახალგაზრდამ.

— არ გჯერათ? ისე არ იფიქროთ, თითქოს ჩემი მიზანი ვინმეს შეურაცხყოფა იყოს, მაგრამ რედაქტორის მოვალეობა მაიძულებს ყურებისათვის ძნელად მოსანელებელი სიმართლე გითხრათ: დავიწყოთ სათაურით — „კაბალეროს ბედნიერება“. როგორ ფიქრობთ, განა, ვერ მივხვდი საიდან შეაკოწიწეთ ის? ჰენრის ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია, — განაგრძო ყოვლისმცოდნე რედაქტორმა, — „ასე იცის კაბალერომ“, ხოლო, თუ არ ვცდები, ჰემინგუეიმ თავის პატარა მოთხრობას „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ დაარქვა. ჰენრიდან თქვენ აიღეთ „კაბალერო“, ჰემინგუეიდან — „ბედნიერება“ და შეაერთეთ რა ეს ორი სიტყვა, მიიღეთ „კაბალეროს ბედნიერება“. რედაქტორმა გამარჯვებულის იერით გადახედა ახალგაზრდას. ასეთ თავბრუდამხვევ შეტევას, მისი აზრით, იგი საბოლოოდ უნდა გაენადგურებინა.

— შემდეგ, — განაგრძო შეუბრალებელმა რედაქტორმა, — პირველსავე წინადადებაში გიწერიათ „ინკოგნიტო“. აი, უყურეთ, რას წერს ა. დიუმა! ალბერ მორსერი ამბობს: „გრაფი ირანელი მაჰია, რომელიც ინკოგნიტოდ მოგზაურობს“. — აღიარეთ, რომ დიუმასაც მისწვდა თქვენი თვალი, თვალი რეციდივისტი!

— მომდევნო წინადადებაში ამბობთ: „ფერმკრთალი სახე ჰქონდა“.

— რა არის მერე ამაში ცუდი? — ამოიკნავლა მწერალმა.

— ცუდი? პატარა ბავშვიც მიხვდება „ფერმკრთალი“ კუპერისგან რომ ისესხეთ! „უკანასკნელი მოჰიკანის“ 229-ე გვერდში ჩინგაჩგუკი ამბობს: „ღმერთმა მოგცათ ფერმკრთალი სახე და ქვეყნიერების შესანსვლის მადა“. ჩავყვეთ ქვემოთ: „ის იდიოტი იყო...“ ღმერთო ჩემო, ასე ურცხვად მისწვდე დოსტოევსკის, ეგ ხომ გაუგონარი დილეტანტობაა? ერთ-ერთ ადგილას წერთ: „როცა დირექტორი და მოადგილე...“ ცხადია, აქაც საქმე გვაქვს სხვისი საკუთრების ხელყოფასთან! აბა, გავიხსენოთ, როგორ იწყება ჯეკ ლონდონის „კანაკას მოქცევა“: „როცა იდა და ლი...“ ან ეს ავიღოთ „ჰვინტი გასწითლებოდა“. ადვილი მისახვედრია, ეს ყბადაღებული „ჰვინტი“ უელსის „უჩინარი კაციდან“ გაქვთ აღებული. გაიხსენეთ, უცნობი ჰვინტზე რომ ეძახებოდა მისტერ ჰასს.

— შემდეგ... — აქ რედაქტორმა თავი მაღლა ასწია და მხოლოდ ახლა შეამჩნია, თავის თავს რომ ელაპარაკებოდა.

— მართალი კაცი არ გაიპარებოდა! — დაიმედა თავი ყოვლისმცოდნე რედაქტორმა.

დ. ლომაია

## იღბლიანი კაცი

ჩემს ახლო მეგობარს, დიომიდე ჭელიძეს, დიდი უბედურება შეემთხვა: მძარცველებმა თავში რკინა ჩაარტყეს და ცოცხალ-მკვდარი კაცი გაძარცვეს. თითქმის მთელი საათი ეგდო მიწაზე საწყალი დიომიდე, ხოლო, შემდეგ, კეთილმა ადამიანებმა, სასწრაფო დახმარებით საავადმყოფოში მიიტანეს.

ხუთი დღე-ღამის განმავლობაში, მძიმედ დაჭრილი დიომიდე, უგრძნობლად იწვა და მხოლოდ მეექვსე დღეს გამოაღვიძეს საშინელმა ტკივილებმა.

მეთხუთმეტე დღეს, ენერგიული მკურნალობის შედეგად, დიომიდე ცოტა მოშჯობინდა, თუმცა რკინით გაჩეხილი თავი ისევ ტკიოდა.

— ვაი, თავი! ვაი, მიშველეთ! — კვნესოდა იგი.

ჩვენ, მისმა ნაცნობ-მეგობრებმა, არ დავაყოვნეთ და ვინახულეთ ავადმყოფი.

— რავა ხარ, ბიჭო, ხო ხარ კეტივით! — მიესალმა დიომიდეს ერთი ჩვენგანი. — არ შეშინდე! მე, კაი კაცო, რკინა ვის არ მოხვედრია თავში!

— იღბლიანი კაცი ყოფილხარ, ჩემო დიომიდე! — ანუგეშა მეორემ, — იოლად გადარჩენილხარ!

— მაშ, მაშ! — კვერი დაუკრა მესამემ, — გამოუცდელი მძარცველები შეგხვედრია, თორემ, უფრო მაგრად დაგარტყამდნენ, იღბალი გქონია!

— ეს კიდევ არაფერი! — თქვა ისევ პირველმა, — ის რკინა რომ საფეთქელში მოგხვედროდა, აბა, სად იქნებოდი ახლა? ნამდვილად იღბლიანი კაცი ყოფილხარ!

— რაც მართალია, მართალია, — ვანუგეშე მეც, — ის რკინა რომ შენთვის ცხვირპირში ეთხლიშათ, ქვედა ყბა აღარ გექნებოდა. მერე, რა გემოს ნახავდი ცხოვრებაში? ბედი გქონია, ჩემო დიომიდე!

— ერთი შენც ლაპარაკობ! — მისაყვედურეს სხვებმა, — რას წარმოადგენს ქვედა ყბა! უბრალოდ ნიკაპია და სხვა არაფერი. შენ წარმოიდგინე, რა მოუვიდოდა მუცელში რომ ფინური დანა ეძგერებინათ?! მაგრამ, ჩემო დიომიდე, ნამდვილად იღბლიანი კაცი ყოფილხარ!

— შენი იღბალი, რომ რკინა დაგარტყეს თავში. აბა, ერთი ფოლადის ურო დაგკრათ?

— გმადლობთ, მეგობრებო, ნუგეშისთვის! — წამოიკვნესა ავადმყოფმა, — ოღონდ, ექიმს დაუძახეთ. ტკივილის გასაყუჩებელი წამალი დამალევინოს!

— სულით არ დაეცე, დიომიდე! — შევუტიე მე. — რად კვნესი? აბა, ის სჯობდა, ტროლეიბუსი რომ დაგჯახებოდა?

— ან რა მოგივიდოდა, მეოთხე სართულიდან რომ გადმოგეხტარიყავი? მიწაზე სული არ დაგყვებოდა! შენი იღბალი, რომ რკინა დაგარტყეს. აბა, ერთი ხმალი ედრუზათ თავში?!

— რამდენი ამოგაცალეს? — ჰკითხა დაჭრილს ერთმა.

— რვა მანეთი.

— ამაშიც იღბალი გქონია! აბა, ორი ათასი რომ ამოეცალათ, რა გუნებაზე დადგებოდი?

— კიდევ რა წაგართვეს?

— საათი.

— ოქროსი?

— არა!

— ჰოდა, ესეც იღბალია! ოქროსი რომ ყოფილიყო, ჯავრით გასკდებოდი!

— კაცს რომ იღბალი ექნება, იმას თავში რკინის ჩარტყმა ვერაფერს დააკლებს!

ასეთი საუბარი და ნუგეშისცემა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ ავადმყოფმა შეგვაწყვეტინა:

— მოითმინეთ, მეგობრებო! — კვნესით მოგვმართა მან, — თქვენი ლაპარაკიდან ისე გამოდის, რომ ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არავინაა!..

— თვალი არ გეცეს, ჩემო დიომიდე, და სწორედ რომ ბედნიერი ხარ... მედგრად იყავი, არ შედრკე! რკინა ვის არ მოხვედრია თავში, მაგრამ თავი არავის მოუკლავს!

— აბა, ჩვენ წავედით, შენი იღბალი, რომ ორ კვირაზე ადრე ვერ გინახულებთ!

ბ. ქელბაქიანი



ნახ. ჯ. ლოლუასი



— გეტყობათ, გეოლოგებო, მაგარ ძიებაში ხართ!

— აბა, კაცო! წელან ღვინოებს ჩავაცივეთ და ვეღარ გვიპოვნია!

ნახ. ზ. ფირცხალავასი



— აბა, [illegible]

ნახ. ა. კანდელაკისა



— აილეთ „მი!“

— „ბე-ე-ე!“

## [illegible]

— ვაი! არა უშავს! არაფერია! — დროდადრო წამოიძახებდა სიმონი და გადატრილ ქუჩებში ახალფეხადგმულ კენგურუსავით გაუბედავად მოხტუნავდა.

— არა უშავს! მაინც... ვაი! მაინც... მზის და ვარდების მხარეო... ვაი! ვაი! რაღა არა უშავს! მომტყდა ფეხი, ვააი!..

მტვერში ამოგანგლულმა სიმონმა კოჭლობით და ბორძიკით, როგორც იქნა, მიატანა სახლს და მერვე სართულზე თავის ბინას ახედა.

— ფუ, დასწყევლოს ეშმაკმა! — წამოიყვირა, — რა აქანავებს ამხელა სახლს?

სიმონმა დაქანული თვალები მოისრისა... ბოლოს მიხვდა და, რაკი ვერტიკალური მდგომარეობა ვერა და ვერ მიიღო, ჰორიზონტალური პოზიდან მიეალერსა ახალაგებულ ვეება შენობას.

— უჰ, შენი აშენებლის ჭირიმე, შენი! მერე რა, ფაჩუნიც რომ ისმის კედლებში. უნდა ისმოდეს, დიახაც! რა გვაქვს ჩვენ ერთმანეთის დასამალი! გვაქვს რაიმე თუ? დაბალი ჭერიო! თავმდაბალი ხალხი ვართ და ჭერსაც ხომ უნდა ეტყობოდეს ეს! პარკეტიც რომ ჭრაჭუნობს? უნდა იჭრაჭუნოს, აბა! სიჩუმე სამარეშიც გვეყოფა. ლიფტი არ მუშაობსო! არცაა საჭირო! რომელი ფიზკულტურა შეედრება მერვე სართულზე ფეხით სიარულს! უუჰ, შენი აშენებლის ჭირიმე! რა მოპირკეთებულია გარედან! რა ქვაა, რა ქვაა!

სწორედ აქ შეწყდა სიმონის ალერსიანი ხმა.

ქვის ერთი ლამაზი ფილა გაურკვეველი კანონის მოქმედებით აძვრა კედელს და გარკვეული კანონის ძალით დედამიწისკენ დაქანდა. მაგრამ თბილისის ძველი მიწა ამჯერად განსაცდელისგან გმირულად იხსნა სიმონის ნორჩმა ლიპმა.

თვითონ სიმონმა კი ეგვიპტელი მამლუქივით წამოიყვირა „ვაი დედა!“ და წარმართი ქურუმივით დადუმდა.

ერთი საათის შემდეგ, შემთხვევით გამვლელმა აღმოაჩინა უძრავად მწოლარე სიმონი, მის ირგვლივ სისხლის ტბა და მუცელზე ლამაზი ქვის დიდი ფილა.

შემთხვევით გამვლელი ტელეფონის ჯიხურს ეცა, მაგრამ... ჯიხურში ტელეფონი ჯერ არ დაემონტაჟებინათ. მერე ძლივს გააღვიძა პირველ სართულზე მცხოვრები და შველა თხოვა:

— წყალი, წყალი!

— თქვენ, ამხანაგო, აქაური არ უნდა იყოთ!

— ეს რა შუაშია, ბატონო, წყალი!

— იმ შუაშია, რომ წყალი ოთხი დღეა, რაც ამ სახლში არ მოდის, წამლადაც ვერ გიშოვნი!

— აბა, რას სვამთ, ხალხი ხართ თუ აქლემები?!

— აქლემიც ხარ და აფთარიც, რას დაწანწალებ ამ შუაღამეში!

— კარგი, კაცო, სინათლე მაინც აანთე, სინათლე!

— სინათლე რომ იყოს, მე შენ გიჩვენებდი სეირს!..

საავადმყოფოს დარაჯი ვიდრე გააღვიძეს, სიმონმა სული დალია.

— - —

ატყდა გამოძიება. ექიმმა თქვა:

— ძალიან გვიან მოიყვანეს, მე ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ...

ექსპერტმა დაადგინა, რომ ლამაზი ქვის ფილა სამუშაოთა ხარისხის დაბალი შესრულების გამო აძვრა კედელს და დაეცა სიმონის ლიპს.

გამომძიებელმა გამოიძია, რომ იმ სახლის მშენებლობას ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული ინჟინერი სიმონი და, იმ საბედისწერო ღამით იგი ბრუნდებოდა ბანკეტიდან, რომელიც მან გუმბების გადაჭარბებისა და პრემიის აღსანიშნავად გამართა.

ნათესავებმა თავში ხელები წაიშინეს და სიმონის კიცხედარი მერვე სართულიდან სახანძრო რაზმის კიბით ჩამოიტანეს. აბა, რა ექნათ — კარებში ვერ გაბიტ მოატიეს და კედელიც რომ გაენგრიათ, კიბეებზე მაინც ვერ ჩამოიტანდნენ.

გაზეთმა დაბეჭდა ნეკროლოგი, სადაც ხაზგასმული იყო განსვენებული სიმონის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და უდიდესი კეთილსინდისიერება.

ზ. რატიანი



ნახ. ზ. [illegible]



**მოქიდავე გამოცდაზე**

— როგორ! შექსპირს არ იცნობთ? ის ხომ კლასიკოსია!

— რა ვქნა, პატივცემულო, კლასიკოსებს არ შევხვედრივარ. მე თავისუფალ სტილში ვჭიდაობ!

## [illegible]

„შეჯიბრებიდან დაბრუნდა კურდღელი
ყურებცანცარა,
აეროდრომზე დამხვდურებს, სიტყვა არავის
აცალა:
„მაშ, მომილოცეთ! — შესძახა. — არის
საპრიზო ადგილი,
მეექვსე ნომრად მოხვედრა არვის გეგონოთ
ადვილი!
ბრძოლა სხვა ჯიშის მხეცებთან საქმე როდია
მარტივი!
ჰოდა, მიმიხვდით, — დღეიდან სხვაგვარი
მინდა პატივი!“
„ვაშა!“ — აყვირდნენ თვალბეცნი, ხელთ
აიტაცეს ქაქანა,
მისცეს ახალი ბინა და ახალთახალი მანქანა.
მაგრამ სიმართლე გაირკვა, როცა მოვიდა
გაზეთი.
შიგ შავით თეთრზე ეწერა პატარა ცნობა
ასეთი:
„ექვსნი ებრძოდნენ ერთმანეთს, — სუსტნიც
და თათმოუღლელნიც
და იმ ექვს მონაწილეში მეექვსე იყო
კურდღელი“.

ა. ციბაძე.




# სასოფლო-სამეურნეო აჯაფსანდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს იმდენი ჩაი და ყურძენი მოვიდა, სოფლის სხვა წვრილმანი ნაკლი კინაღამ წალეკა, მაგრამ ნიანგი გულმავიწყი როდია, მან მოსავლის დიდი დღესასწაულის საზეიმო სუფრისთვის დაამზადა ორიგინალური კერძი — სასოფლო-სამეურნეო აჯაფსანდალი. დამზადების წესი: აიღებთ ცალკეული რაიონების ცალკეული სოფლების ცალკეული კოლმეურნეობების უთავო და ბედოვლათ თავკაცებს, გააძრობთ მათ ტყავს, შემდეგ მაგრად დაუნაყავთ ცხვირს, ძმრის გამოდენამდე. ამის მერე ყურებზე აუცილებლად დააჭრით ხაზს (რომ არა თქვან, — ყურებზე ხაზი არ დამაჭრათო). ბოლოს, ყველაფერ ამას, დაასხამთ მდუღარეს და გაურევთ კრიტიკას. ეს არის და ეს.

ამჯერად, ჩვენს აჯაფსანდალში მოხვდნენ ისინი, ვინც ერთ ტაფაზე „იწვის“.

ჯერ მათ შესახებ, ვისაც „ზამთრის ყინვა არ აშინებს“. შარშან, ამ დროს, ზამთრისგან ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მიიღეს ბოდბისხევლებმა: მეცხოველეობის ვერც ერთმა ფერმამ გეგმა ვერ შეასრულა, ცხვრები კი ცხვრებივით დუმდნენ. ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეაო. აკი გაცხარდნენ კიდეც! ერთხელაც კრიტიკულად დააკიკინეს მთელი თავისი ჭირ-ვარამი. „შარშანდელთან შედარებით, არა გვიშავს, თუმცა, საბინაო პირობები წელსაც ალმაშფოთებელი გვაქვსო“ — ფეხები დაუბაკუნეს ფერმის გამგეს. მათი ფეხის ხმას აჰყვა გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონების წვრილფეხა თუ მსხვილფეხა პირუტყვი.

...რევიზიასავით მოულოდნელად მოვიდა თოვლი ჩოხატაურში და ღია ცის ქვეშ დახვდა მთელი წლის ნაოფლარი. აქაურმა საქონელმაც ბღავილით შემოიტანა ჩვენთან განცხადება უბინაობის შესახებ. საკვებდამამზადებლები, თითქოს, პირიანი ადამიანები ჩანდნენ, მაგრამ სილოსის დამზადებასაც არ უჩანს კარგი პირი. ასე თუ გაგრძელდა, შუა ზამთარში პირუტყვს ჩალა პირში გამოსავლებადაც არ ექნება, მეცხოველეობის მესვეურები კი ნამდვილად პირში ჩალაგამოვლებულები დარჩებიან. ალბათ, ზოგ აგრონომს ჰგონია, ზამთარში ჩალას ჩალის ფასად ვიშოვნითო!

ახლა ნამატის მიღება-გამოზრდისა და სუქების შესახებ: ჯუგაანელებს (სიღნაღის რაიონი) ამის შესახებ სიტყვა რომ ჩამოუგდოთ, იმ სიტყვას მაშინვე ბანზე აგიგდებენ. ნეზვზე 12-ის ნაცვლად 5 გოჭი მიიღეს, 980 ღორის ნაცვლად, მხოლოდ 283 გაასუქეს, დაცემის რიცხვი კი გაიზარდა: 10 თვეში — 264! ასე, გაიზარდა თვითდირებულება, ახლა ჯუგაანში მხოლოდ „ძვირფასი“ ღორები ჰყავთ. პირუტყვის დაცემის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს საქობოს. ისე, ამ მხრივ, მაჩხაანსაც არა უშავს. ფერმის მესვეურებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ პირუტყვის სულადობასთან ერთად, ეცემა მათი ავტორიტეტიც.

„ნიგვზიანისა და არჩეულის (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეობებს წელს ერთწლიანი კულტურები თავზე საყრელად მოუვიდათ, მაგრამ ეს დალოცვილი მოსავალი ისე მოვიდა, მოსვლის ვადა არ გამოუცხადებია, რამაც დიდი არევ-დარევა შეიტანა მასპინძლებში. ტეხაკრეფას მოუმზადებელნი რომ შეხვდნენ, ფართობებში ღვთის ანაბარად დახვავდა სიმინდი, ტრანსპორტი აკლდათ და დროზე ვერ დააბინავეს ჭირნახული. ბევრი გაფუჭდა, ბევრიც — დაიკარგა. რა დაკარგული და რა სახლში მიუტანელი!

კარგი დღე არ ადგას ლენტეხის რაიონის სოფელ ხაჩეშის კ. ჩანქსელიანისა და ს. ბენდელიანის მემინდვრეობის ბრიგადების სიმინდსაც. ბრიგადირები პირად საქმეებზე იმდენ ოფლს იღვრიან, რომ საერთო ნაოფლარი თოვლსა და ტალახში ულპებათ. ნალიებში სველი სიმინდი შეაქვთ, თვითონ ისინი კი, როგორც ხედავთ, დღემდე მშრალზე არიან. საკვებმომპოვებლების მიერ დამზადებული თივა და უხეში საკვები აღრიცხულიც არ იყო, კოლმეურნეობის გამგეობას კი ყალბი ცნობა მიუტანეს. მოგეხსენებათ, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ეს ტყუილიც მაშინვე „დაიჭირეს“ კოჭლობაზე. თურმე, ნუ იტყვით, ტყუილის თქმაში გამგეობაც არ მოიკოჭლებს — რაიონული აღრიცხვისთვის მიცემულ ცნობაში უჩვენეს: 120 ტონა სილოსი გვაქვს დამზადებულიო. ეს ტყუილიც კოჭლობაზე დაიჭირეს — ამის ნახევარი მწვანე მასაც არ ჰქონიათ დასილოსებული. როგორც ჩანს, მთაში ტყუილს კიდევ უფრო იოლად ეტყობა კოჭლობა.



რასაც დასთეს, იმას მოიმკიო, — ამბობს ხალხური სიბრძნე, რომლის შესამოწმებლად საინტერესო ცდა დააყენეს ლიხეთის, ჭყვიშის, სხვავის, მუხლის, ამბროლაურის, ბოსტნის, ბუგეულის კოლმეურნეობებმა. საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროტექნიკური ვადა მიიწურა, მათ კი დაწყებულიც არ ჰქონდათ მუშაობა. აქ დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ ცდა გაამართლებს და ხალხური ანდაზა ახალ შინაარსს შეიძენს — რასაც არ დასთეს, იმას არც მოიმკი.

საშემოდგომო თესვის რაჭული ტემპი გადაედო ანაგის კოლმეურნეობასაც და თუ მეზობლად ერთ დღეში ერთმა სათესმა მანქანამ საშუალოდ 15 ჰექტარზე დათესა თავთავიანი კულტურები, მთელმა სოფელმა 10 ჰექტარი ძლივს დაამუშავა.

როგორც ხედავთ, სასოფლო-სამეურნეო აჯაფსანდალი ერთობ ცხარე გამოვიდა. ვინძლო, მათ, ვისაც ამ კერძით ვუმასპინძლდებით, ნაკლოვანებები შემდგომში მაინც არ „ჩაყლაპონ“.

# მატყუარა საწოვარა

ქალიშვილი გამომიტყდა: ერთადერთი საწოვარა დამეკარგა და ბავშვიც ასე გაუთავებლად იმიტომ ტირისო.

ქალაქის ყველა აფთიაქი და სააფთიაქო მაღაზია შემოვირბინე, მაგრამ საწოვარა ვერსად ვიშოვე.

მერე, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს საწყობს მივადექი, ბავშვივით აგტირდი, იქნებ მიშველოთ-მეთქი.

დამამშვიდეს (ოღონდ, საწოვარათი—არა!). მითხრეს: ჩვენ თავზესაყრელად ვუგზავნით აფთიაქებს, მაგრამ დიასახლისები იმწამსვე იტაცებენ, ტყემლისა და პომიდორის წვნით სავსე ბოთლების საცობად ხმარობენ, ამხელა კაცი ბავშვი ხომ არა ხარ, მაგი არ იცი?

ბედად, ნაცნობი აფთიაქარი შემხვდა. ქალაქის განაპირას, ერთ პატარა აფთიაქში შემიყვანა და საწოვრები გადმომილაგა, მეც დავხარბდი და ათ-ათი ცალი მატყუარა და არამატყუარა საწოვარა ვიყიდე.

ტრამვაიში ნავაჭრი გავხსენი და გახარებულმა დავუწყე თვალიერება. უცებ, თავი ავწიე და დავინახე, ქალები გაბრწყინებული თვალებით მომჩერებოდნენ...

— ბოდიში! — მომმართა ერთმა, — მთელი თვეა დავეძებ და ვერსად ვიშოვე, დამითმეთ ერთი ცალი, ჩვილი ბავშვი მყავს!

რა უნდა მექნა, ხელის კანკალით მივეცი ერთი და დანარჩენების დამალვას შევუდექი.

— მეც ვთხოვდი, მაგრამ მერიდება! — მოურიდებლად თქვა ჩემს უკან მდგომმა ქალმა და გამიღიმა.

ეს უკვე ზედმეტი იყო!

— მაპატიეთ, ქალბატონო, დაბრძანდით! — ვითომ ვერ გავიგე, რაზე იყო ლაპარაკი, ისე ვთქვი, ქალს ადგილი დავუთმე და გაქანებული ტრამვაიდან ჩამოვხტი.

ა. მონიავა

ნახ. გ. ლომიძისა




რასისტმა იან სმიტმა გამოაცხადა სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობა", რაც ითვალისწინებს თეთრკანიანების ბატონობას 20-ჯერ მეტ ზანგ მოსახლეობაზე.

**გაზეთებიდან.**

როდეზიელი ავაზაკი

# დანაშაული და სასჯელი

...ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და თბილისის ქუჩებში — ტაქსები. ავჭალიდან ორთაჭალამდე, ნავთლუღიდან სოღანლუღამდე მიდიან და მოდიან, მოდიან და მიდიან და, ზოგჯერ, იქაც მიდიან, სადაც არ უნდა მიდიოდნენ.

ივლისის პაპანაქება სიცხეში კახეთის გზატკეცილს „ვოლგა" (№ 21—04) მიუყვებოდა. გაფრენილ მანქანას ზოგჯერ ჩრდილში შეფარებული კოლმეურნეები გააყოლებდნენ თვალებს და გაკვირვებულები მუხლებზე ხელებს ირტყამდნენ.

— კაცო! მანქანაა თუ ენოქ და ილიას ურემი. ნახე, როგორ მიფრინავს?

— ეეე! კოკა წყლის გზაზე გატყდებაო, უთქვამთ, გიგა, და ჩემი სიტყვები დაიხსომე! ფუი, უშმაკს, ფუი ეშმაკს!..

არც მანქანაში იყო ასპროცენტიანი მხიარულება. „ნელა, ძმაო! ნუ დაგვღუპავ!", „ნუ ჩქარობ!" — ისმოდა ხშირ-ხშირად, მაგრამ მძღოლი გივი ჯალაღანია მაინც თავისებურად მიერეკებოდა და უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა:

— ნუ ჩქარობო! ახლა მე მკითხე, ურჩი მოზვერივით რომ გამოვენთე თბილისიდან, რატომ არ მეკითხები, ნებართვა მაქვს?!

ალაზნის არხის ხიდთან მანქანამ გზიდან გადაუხვია, შეტორტმანდა და აღდგომის კვერცხივით შეეფშვნა ხიდის ბარიერს. დამტვრეულ-დალეწილმა მგზავრებმა — ავთანდილ, ნუნუ, მარინე, ბადრი ყაჯრიშვილებმა და ცაგო კაპანაძემ, ნათესავების მხიარული ოჯახის ნაცვლად, საავადმყოფოში ამოჰყვეს თავი, ხოლო დაჩეჩქვილმა„ ვოლგამ" — თბილისის „ტაქსომოტორების" მეორე პარკში.

მომხდარი შემთხვევის გამო, სიბრალულსა და თანაგრძნობას დაზარალებულებთან უნდა დაედგა სადგური, მაგრამ მოხდა საკვირველება — გულის აჩუყებამ დამნაშავისკენ გადასწია სასწორი: ექსპერტმა ექიმმა დემეტრაშვილმა შორიდან დაუსწრებელი სალამი გაუგზავნა საავადმყოფოში მწოლიარეთ. შემდეგ დაჯდა წყნარად და თეთრზე შავად დაწერა ამბავი მოტეხილ ძვლებზე, ტვინის შერყევაზე, ამოვარდნაზე, დალილავებაზე და სხვა მისთანებზე. გულმავიწყივით დაავიწყდა ავადმყოფური პროცესის სიმძიმე, მისი მიმდინარეობის მომავალი ხანგრძლივობა და ა. ყაჯრიშვილის სხეულის მძიმე დაზიანება ნაკლებად მძიმე დაზიანებად ცნო.

„ტაქსომოტორების" მეორე პარკმა ცხარე ცრემლებით გამოიტირა დამტვრეული „ვოლგის" მარჯვენა მხარე, წინა მარჯვენა კარები, წინა საძირე შინა, წინა „შიტოკის" მარჯვენა მხარე, საჭის მექანიზმის შტურვალი, მარჯვენა დისკო და საბურავი, მაგრამ მათაც გული აიჩუყეს და ზარალი სულ იაფად — 45 მანეთად და 30 კაპიკად შეაფასეს.

გულისაჩუყების მხრივ არც სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლო დარჩა ვალში: ა. წ. 8 სექტემბერს განიხილა საქმე და ამისა და იმის გამო დამნაშავეს 5 მგზავრისა და მანქანის უმოწყალო დამტვრევისთვის, მოწყალე ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა.

სასჯელი უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამაც დაამტკიცა და, მამაზეციერო, შენ დაიფარე გივი ჯალაღანია ავი თვალისაგან!

**ვ. არაგველი**

- ავადმყოფს წამლის სმა უხდებოდა, წამალი კი — არა.
- ბრაკონიერმა თევზი დაიჭირა და თევზმა — ბრაკონიერი.
- ცხვარს მეცხვარემ გააძრო ტყავი და მეცხვარეს — რევიზიამ.
- ცუდ მუსიკას მხოლოდ დასასრული ჰქონდა კარგი.
- ფოსტალიონი პენსიონერი არ იყო, მაგრამ მაინც პენსიით ცხოვრობდა.
- ავადმყოფს პრაქტიკანტების ჯგუფი და თავბრუ ერთად ეხვეოდა.
- თეატრში სპექტაკლი მიდიოდა, მაყურებელი კი — არა.

**გ. შავერზაშვილი**



846
157/XII

...მართლოში

ნახ. ვ. ჟუჟუნაძისა

რედაქტორი **ნ. დუმბაძე** სარედაქციო კოლეგია: **ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.**

**საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".
**რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78**

ხელმოწ. დასაბ. 1/XII-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 4105 უე 03495 ტირაჟი 40000

ნახ. გ. ფირცხალავასი

ИНДЕКС 76317

ეროვნული ბიბლიოთეკა



— პორფირი! პროექტების შედგენის ნაცვლად, წინდები და „სვიტრები“ რომ გამოგვეშვა, ხომ არ აჯობებდა?